HUNNEWELL CEMENT

**Letter for bidders**

`

| | | |
|---|---|---|
| File No. | : | |
| Date | : | 25.02.2025 |
| **Due Date** | : | 18.03.2025 |

**ფასთა გამოკითხვა სასხორის და დედოფლისწყაროს კირქვის კარიერების რელიეფის ტოპო გადაღებით სამუშაოებზე**

Dear Sir/Madam

ფასთა გამოკითხვის საგანს წარმოადგენს, სასხორის კირქვის კარიერზე (ლიც. #32/0398/ II K) და დედოფლისწყაროს კირქვის კარიერზე (ლიც. #1001352) რელიეფის ტოპო გადაღებითი სამუშაოები.

სასხორის კირქვის კარიერის (ლიც. #32/0398/ II K) დასავლეთ უბნის 2025 წლის სამთო სამუშაოების გეგმაში საჭიროა მუშა ჰორიზონტების ადგილმდებარეობის (მოპოვების უბნების) ცვლილება, რათა მოპოვებულ სამთო მასაში შენარჩუნდეს საჭირო კონდიციები (სასარგებლო კომპონენტების მოცულობა). კორექტირება აუცილებელია კარიერის გეგმასა და ჭრილებზეც, რომელზეც უნდა აისახოს საფეხურების მდგომარეობა გამომუშავების მომენტისთვის, რისთვისაც საჭიროა კარიერის რელიეფის აეროფოტოგრამმეტრიული გადაღება და ტოპოგრაფიული რუკის შედგენა. ტოპოგეგმაზე დატანილი იქნება საანგარიშო პერიოდში დამუშავებული ფართობები. რელიეფის ციფრული მოდელის შესაქმნელად და სამთო-მოპოვებითი სამუშაოების დაგეგმვისთვის საჭიროა ტოპო-გადაღება ამავე ლიცენზიის აღმოსავლეთ უბანზეც.
აგრეთვე საჭიროა ტოპო გადაღება დედოფლისწყაროს კირქვის კარიერზე (ლიც.#1001352), ფართობი -16 ჰა. აღნიშნულ კარიერზე დაგეგმილია გადახსნითი სამუშაოები.

გადასაღები ტერიტორიების ფართობები ლიცენზიების მიხედვით:

სასხორის კირქვის კარიერი, ლიცენზიის #32/0398/ II K დასავლეთ უბანი: 364,580 მ$^2$;
სასხორის კირქვის კარიერი, ლიცენზიის #32/0398/ II K აღმოსავლეთ უბანი: 233,210 მ$^2$;
დედოფლისწყაროს კირქვის კარიერი, ლიცენზიის #1001352: 160,000 მ$^2$.

ამ ფასთა გამოკითხვის საგანს წარმოადგენს აღნიშნული ტერიტორიების ტოპო გადაღებითი სამუშაოები იმ მოცულობით რაც განსაზღვრულია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით და რაც აუცილებელია რელიეფის ციფრული მოდელების ასაგებად, რაც ასევე წარმოადგენს შემსრულებლის ვალდებულებას.

ტოპო გადაღებითი სამუშაოების შესრულების საბოლოო დოკუმენტაცია:

- გადაღებული ტერიტორების რელიეფის ციფრული მოდელები DXF ფორმატში.

,,ჰანიველ ცემენტი'' წამყვანი ბრენდია საქართველოს ცემენტის ბაზარზე. ის ამარაგებს თითქმის ყველა მსხვილ სამშენებლო პროექტს ცემენტით და ბეტონით, მეტიც, კომპანია წარმოადგენს კლინკერის ერთადერთ მწარმოებელს ქვეყანაში. კომპანიას ქვეყნის მასშტაბით 1200-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. კომპანია ფლობს ცემენტის ქარხნებს კასპსა და რუსთავში, ცემენტის წისქვილს ფოთში და ცემენტის ტერმინალს სუფსაში, ასევე, ბეტონის საწარმოებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მეტი ინფორმაცია ჰანიველცემენტის ჯგუფის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე/ლინკზე: http://www.hunnewellcement.ge.

მოხარული ვართ გაცნობოთ რომ თქვენი კომპანია შერჩეულია როგორც პოტენციური შემსრულებელი ამ სამუშაოების და გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ ფასთა გამოკითხვაში.

**გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:**

| | | |
|---|---|---|
| სამუშაოების შესრულების ადგილი | : | სასხორის და დედოფლისწყაროს კირქვის კარიერები |
| სამუშაოების შესრულების ვადა | : | თქვენთვის შესაძლო უმოკლეს ვადებში |
| **გადახდის პირობები** | : | სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე |
| **ტექნიკური მოთხოვნები** | : | თანდართული დოკუმენტებისა და ადგილობრივი ტექნიკური მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად. |
| **უსაფრთხოების მოთხოვნები (საჭიროებისამებრ):** | : | რისკების შეფასების ფაილი<br>სამუშაო მეთოდოლოგია; |

შემოთავაზების გამოგზავნისას, აუცილებლად Subject ველში მიუთითეთ ტენდერის ნომერი და ტენდერის დასახელება, ან თუ მოწვევა მიღებული გაქვთ E-mail საშუალებით, ჩაწერეთ წერილში არსებული SUBJECT.

*თუ არ იქნება გათვალისწინებული ზემოთ მოცემული გარემოებები და სატენდერო წინადადებას არ ახლავს გეგმა გრაფიკი, შესაბამისი Subject ან რაიმე სხვა მოთხოვნა, წინადადება ჩაითვლება უარად...*

**სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს:**

- კომპანიის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალს.
- დეტალურ კომერციულ წინადადებას,
- სამუშაოების შესრულების ვადას

წინადადებების მიღების საბოლოო ვადაა 18.03.2025 – 12:00 **საათი**
**გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი წინადადება შემდეგ ელ-ფოსტაზე:**
nino.beridze@cement.ge
ან მისამართზე:

***Kartuli Cement LLC***
***21 ალ. ყაზბეგის გამზირი***

HUNNEWELL CEMENT

*0160 თბილისი, საქართველო*

ყველა კორესპონდენცია წინადადების მოწოდების ჩათვლით უნდა მოხდეს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე.

ნინო ბერიძე

| | | |
|---|---|---|
| Phone | : | +995 558 106 501 |
| E-mail | : | nino.beridze@cement.ge |

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით გთხოვთ დაუკავშირდეთ:

**დავით ჩიკვაიძე**

| | | |
|---|---|---|
| Phone | : | +995 557 487494 |
| E-mail | : | David.chikvaidze@cement.ge |

**თანდართული დოკუმენტები:**

- გადასაღები ტერიტორიტორების/ლიცენზიების კონტურების „shp" ფაილები.